საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№271/19

2019 წელი, 17 ივნისი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 124-ე მუხლის მე-11 და მე-12 პუნქტების საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

1. არანაკლებ 200000 ამომრჩევლის ინიციატივით საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის წარდგენის უფლების განხორციელების მიზნით შექმნილი საინიციატივო ჯგუფის (გრიგოლ ვაშაძე, ნიკანორ მელია, ბაჩუკი ქარდავა, გიორგი ვაშაძე, მამუკა კაციტაძე, გიორგი ახვლედიანი, თინათინ ბოკუჩავა, გიორგი უგულავა, ლევან თარხნიშვილი, შალვა შავგულიძე, ალექსანდრე ბარამიძე, მურმან დუმბაძე, ხათუნა სამნიძე, პაატა დავითაია, თამარ კორძაია, კონსტანტინე გამსახურდია, შოთა მალაშხია, გოჩა მამაცაშვილი, ნიკა მაჭუტაძე, ალექსანდრე ელისაშვილი, თენგიზ ომანიძე, ლევან ჩხეიძე, ზურაბ ხარატიშვილი, ვახტანგ ხმალაძე) განცხადება (N1-11606/19; 13.06.2019) შევსებულ ხელმოწერების ფურცლებთან ერთად გადაეცეს საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს.

2. საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა ხელმოწერების ფურცლების მიღებიდან ერთი თვის ვადაში დადგენილი წესით შეამოწმოს ხელმოწერების ნამდვილობა და შედეგები წარუდგინოს საქართველოს პარლამენტის ბიუროს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის
მოადგილე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე — გიორგი ვოლსკი